ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724200001
თარიღი:18/07/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 12

დ. ლენტეხი. 18 ივლისი 2024წ.

მიმდინარე წლის 18 ივლისს დღის 12 საათზე შედგა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 13 (ცამეტი)წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუსაობის შესახებ**

/მომხს: ა (ა) ი პირის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი/

3. **ა(ა)ი. პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: ა(ა) ი.პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში:**

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენს 17321.6 ათ, ლარს, 6 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 9773,2 ათ, ლარს. შესრულების პროცენტი 56 %. აქედან 9883,0 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან, ფაქტიურად შესრულებულია4975,9 ათ, ლარი. შესრულებულია 50% ით. საკუთარი შემოსავლები 7438.6

ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 4797,2 ათ. ლარი, შესრულებულია 64 % ით.

გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენს 21062,5 ათ. ლარს , ფაქტიური შესრულება 6897,4 ათ, ლარი, ფაქტიური შესრულება შესრულებულია 32 % ით. აქედან ხარჯები 8556. 4 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 4374.6 ათ ლარი , შესრულებულია 51 % ით. გრანტები 10062,6 ათ ლარიშესრულებულია ექვს თვეში 2644,5 ათ. ლარით, შესრულებულია 26% ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი გეგმით 6759.0 ათ.ლარი, შესრულებულია 3238,7 ათ.ლარი. შესრულებულია 47 % ით.

არაფინანსური აქტივები წლიური გეგმა 12476.1 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება2522.8 ათ. ლარი, შესრულებულია 26% ით. სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 450.0 ათ.ლარი, ფაქტიური შესრულება , 93,4 ათ. ლარი. შესრულებულია 20 % ით.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 3740.9 ათ. ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 2421.2 ათ. ლარისახ. ბიუჯეტიდან განკარგულებით გამოფილი ნაშთია, ხოლო 1319.7 ათ, ლარი წარმოადგენდა თავისუფალ ნაშთს.

ვალდებულების კლება გეგმით გათვალისწინებულია 30.0 ათ.ლარი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ფაქტიურად არ არის გახარჯული.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები წლიური გეგმით გათვალისწინებულია 21062.5 ათ ლარი ფაქტიურად შესრულებულია 6897,4 ათ ლარი, შესრულებულია 50 % ით.

ინფრასტრუქტურის განვითარება წლიური გეგმით11659.9 ათ. ლარი , ფაქტიური შესრულება 2143.8 ათ ლარი, შესრულებულია 18 % ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა წლიური გეგმით 526,0 ათ.ლარი, შესრულებულია 20,0 ათ. ლარით , შესრულების პროცენტი 49 %.

განათლება წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1080,0 ათ,ლარი. გახარჯულია 524.8 ათ. ლარი, შესრულებულია 48%-ით.

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი წლიური გეგმა წარმოადგენს 1619.0 ათ ლარს, ფაქტიური შესრულება 794.9 ათ. ლარს . შესრულებულია 49 % ით.

ჯამრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა გეგმით გათვალისწინებულია 392.0 ათ ლარ, ფაქტიური შესრულება 260.8 ათ, ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ მომხსენებელს დაუსვა კითხვა - ტელე რადიო მაუწყლებლობის მუხლში გეგმით გათვალისწინებულია 32.5 ათ. ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 8.8 ათ ლარი, არის გეგმის და ფაქტიური თანხის შეუსაბამობა.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ თანხა იყო ადგილობრივი გაზეთის დაფინანსებისთვის. რომელზეც დაგვიანებით გამოცხადდა ტენდერი , ხელშეკრულების გაფორმება მოხდა დაგვიანებით , აქედან გამომდინარე თანხა გაიხარჯა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან. რამაც გამოიწვია თანხის ეკონომია. კომისიის წევრმა დავით პირველმა - მმართველობაში არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მოითხოვა განმარტება, თუ რა მიმართულებაზე იყო თანხა გახარჯული. მომხსენებელმა განმარტა რომ თანხა გახარჯულია მუნიციპალიტეტის მერიისათვის შეძენილ ავტობუსებისთვის.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა კენჭისყრაზე.

განსხვავებული მოსაზრება არ დაფიქსირებულა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

2. მოისმინეს: ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინა მერიის კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა.

აზრი გამოთქვა : მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა - ძალიან დასაფასებელია ის გარემოება , რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლებში მოზარდებს მოვუწყვეთ სპორტის განვითარებისათვის საჭირო ინფარსტრუქტურა.

აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა : რა თქმა უნდა კარგია ის წარმატებები, რაც გვაქვს დღევანდელი დღის მდგომარეობით, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში გვექნება უფრო დიდი წარმატებები. თავისი გავლენა სპორტულ

მიღწევებზე იქონია სპორტული დარბაზის რემონტმა. რაც შეიძლება დროზე უნდა დამთავრდეს იქ მიმდინარე სამუშაოები და მოზარდებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - რა ბაზაც არის, რა პირობებიც და ბიუჯეტიც იმის ფონზე სასპორტო გაერთიანებას აქვს საკმაოდ კარგი შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირის სასპორტო გაერთიანების 6 თვის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა კენჭისყრაზე.

განსხვავებული მოსაზრება არ დაფიქსირებულა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირის სასპორტო სკოლების გაერთიანების 2024 წლის 6 თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: ა(ა)ი. პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ბესო გაზდელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით გაერთიანებას საკმაოდ ბევრ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და აქვთ საკმაოდ წარმატებები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამხატვრო სკოლის და ლაშხეთის მგალობელთა გუნდის წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - აღნიშნული ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი